შპს „სელფი მობაილ“

გარემოს დაცვითი პოლიტიკა

შესავალი

ჩვენი კომპანია, როგორც მობილური საკომუნიკაციო ოპერატორი, აცნობიერებს თავის მნიშვნელოვან როლს და პასუხისმგებლობას გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საქმეში. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი საქმიანობა გავლენას ახდენს გარემოზე და ვალდებულებას ვიღებთ, მინიმუმამდე დავიყვანოთ ნეგატიური ზემოქმედება და მაქსიმალურად გავზარდოთ პოზიტიური წვლილი.

ეს პოლიტიკა განსაზღვრავს ჩვენს მიდგომებს, მიზნებსა და ვალდებულებებს ამ მიმართულებით.

1. მიზანი და მოქმედების სფერო

1.1 მიზანი

ამ პოლიტიკის მიზანია:

- უზრუნველყოს გარემოს დაცვის ინტეგრირება ჩვენი ბიზნესის ყველა ასპექტში;
- შეამციროს ჩვენი ეკოლოგიური ნაკვალევი;
- ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას;
- უზრუნველყოს შესაბამისობა გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან;
- გააძლიეროს ჩვენი როლი ინდუსტრიაში, როგორც გარემოსდაცვითი ლიდერისა.

1.2 მოქმედების სფერო

ეს პოლიტიკა ვრცელდება:

- ჩვენი კომპანიის ყველა თანამშრომელზე;
- ყველა ბიზნეს ერთეულზე და შვილობილ კომპანიაზე;
- ყველა ოპერაციაზე, პროდუქტსა და სერვისზე;

2. ძირითადი პრინციპები

2.1 კანონმდებლობის დაცვა:

- ვიცავთ ყველა მოქმედ გარემოსდაცვით კანონს, რეგულაციასა და სტანდარტს ჩვენი ოპერაციების ყველა ლოკაციაზე;
- რეგულარულად ვაფასებთ ჩვენს შესაბამისობას და ვახორციელებთ პრევენციულ ზომებს.

2.2 პრევენციული მიდგომა:

- ვიყენებთ პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი რისკების მიმართ;
- ვატარებთ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ყველა ინიციატივისთვის.

2.3 რესურსების ეფექტური გამოყენება:

- ვცდილობთ მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენოთ ენერგია, წყალი და სხვა ბუნებრივი რესურსები;
- ვნერგავთ ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს ჩვენს ოპერაციებში.

2.4 ნარჩენების მართვა:

- ვახორციელებთ ნარჩენების შემცირების, ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავების პოლიტიკას;
- ვმუშაობთ ნულოვანი ნარჩენების მიზნის მისაღწევად.

2.5 <u>კლიმატის ცვლილება:</u>

- ვაღიარებთ კლიმატის ცვლილების გადაუდებელ გამოწვევას და ვიღებთ ზომებს CO2 ემისიების შესამცირებლად;
- ხელს ვუწყობთ კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების განვითარებას.

2.6 <u>ბიომრავალფეროვნების დაცვა:</u>

- ვიცავთ და ხელს ვუწყობთ ჩვენი ოპერაციების ადგილებში ბიომრავალფეროვნების აღდგენას;
- ვთანამშრომლობთ ადგილობრივ თემებთან და ორგანიზაციებთან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პროექტებში.

2.7 <u>ინოვაცია:</u>

- გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად ვახორციელებთ ინვესტიციებს მწვანე ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ გადაწყვეტილებებში;
- ჩვენს პროდუქტებსა და სერვისებში ვახალისებთ ეკო-ინოვაციებს.

2.8 <u>გამჭვირვალობა:</u>

- ვთანამშრომლობთ დაინტერესებულ მხარეებთან და ვუზიარებთ ინფორმაციას ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის შესახებ.

2.9 <u>უწყვეტი გაუმჯობესება:</u>

- ვაწესებთ ამბიციურ გარემოსდაცვით მიზნებს და რეგულარულად ვაფასებთ ჩვენს პროგრესს;
- ვსწავლობთ საუკეთესო პრაქტიკებს და მუდმივად ვაუმჯობესებთ ჩვენს გარემოსდაცვით საქმიანობას.

3. კონკრეტული ვალდებულებები და მიზნები

3.1 <u>ენერგიის მოხმარება და კლიმატის ცვლილება:</u>

- 2030 წლისთვის გადავიდეთ 60% განახლებად ენერგიაზე ჩვენს ოპერაციებში. კერძოდ, დატა ცენტრების, ოფისების, მაღაზიებისა და საბაზო სადგურების ელექტროენერგიით მომარაგებისთვის გამოვიყენოთ ჰიდრო და ქარის ელექტროსადგურების, ასევე მზის პანელებით მიღებული ენერგია, იქნება ეს ენერგიის მიმწოდებლებისგან მიღებული ენერგია, თუ საკუთარი, ადგილზე წარმოებული (მაგ., ქარის ტურბინები, მზის პანელები);
- გავაგრძელოთ ენერგო ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა, კერძოდ გათბობის, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიცირების შემთხვევაში გამოვიყენოთ ენერგო ეფექტური გადაწყვეტები ჭკვიანი (სმარტ) კონტროლით.

3.2 <u>ნარჩენების მართვა და გადამუშავება:</u>

- 2025 წლის ბოლოსთვის აღმოვფხვრათ ერთჯერადი პლასტიკის გამოყენება ჩვენს ოფისებსა და მაღაზიებში;

- შევამციროთ ქაღალდის მოხმარება. კერძოდ, 2025 წლისთვის გადავიდეთ ინვოისების, კონტრაქტებისა და კომუნიკაციის ციფრულ მიმოქცევაზე, დავნერგოთ ელექტრონული ხელმოწერა დოკუმენტების ამობეჭდვის საჭიროების შესამცირებლად. შედეგად, ორი წლის ვადაში 50%-ით შევამციროთ ქაღალდის მოხმარება;
- 2026 წლისთვის მივაღწიოთ ჩვენი პროდუქტების შეფუთვის 100% გადამუშავებადობას ან ბიოდეგრადირებას.

3.3 <u>წყლის კონსერვაცია:</u>

- დავაყენოთ წლის დამზოგავი ტექნოლოგიები (მაგ., სენსორზე მომუშავე ონკანი, ჩარეცხვის მოდელები დაბალი ცირკულაციით ან ორი სიმძლავრით და სხვ.) და გაჟონვის დეტექტორები ყველა ოფისში;
- სადაც ეს შესაძლებელი და რელევანტურია, დავნერგოთ წლის გადამუშავების სისტემები, კერძოდ დატა ცენტრებში გამაგრილებელი დანადგარებისთვის გამოვიყენოთ დახურული მარყუჟის სისტემა და გამოვრიცხოთ ახალი წყლის გამოყენების საჭიროება;
- 2025 წლისთვის 20% -ით შევამციროთ წყლის მოხმარება.

3.4 <u>მწვანე ქსელის ინფრასტრუქტურა</u>

- დავნერგოთ ენერგოეფექტური ქსელის ინფრასტრუქტურა, კერძოდ გამოვიყენოთ დანადგარები, რომლებიც მოიხმარენ ნაკლებ ენერგიას (როუტერები, სვიჩები, სერვერები და სხვ.); მაქსიმალურად გადავერთოთ ვირტუალიზაციასა და ღრუბელზე (Cloud) მიგრაციაზე, იმისთვის რომ დავზოგოთ რესურსის გამოყენება დატა ცენტრების მიერ; გამოვიყენოთ ხელოვნური ინტელექტი, რათა მოვახდინოთ ქსელის ოპერაციების ოპტიმიზაცია და მოვარგოთ ის რეალურ დროში მოთხოვნას. შედეგად, 2026 წლისთვის 2024 წელთან შედარებით მივაღწიოთ ენერგიის მოხმარების შემცირებას, დატა ტრაფიკის ერთ ერთეულზე დაანგარიშებით;
- დავნერგოთ მწვანე სტრატეგია დატა ცენტრებისთვის, რაც მოიცავს მოდულარული დატა ცენტრების შემუშავებას, სადაც ეს შესაძლებელია და სითხეზე მომუშავე გამაგრილებელი სისტემების გამოყენებას. შედეგად, 2026 წლისთვის უნდა გავაუმჯობესოთ ენერგიის გემოყენების ეფექტურობის კოეფიციენტი.

3.5 <u>თანამშრომლების ჩართულობა</u>

- თანამშრომლების განათლება მდგრადი განვითარების მიმართულებით, გარემოსთვის სასარგებლო და გარემოს დაცვითი პრაქტიკების გასაცნობად, იქნება ეს ონბორდინგის, თუ მიმდინარე ტრენინგების დროს;
- გარემოს დაცვითი ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება, კერძოდ მდგრადობის ჩემპიონის ჯილდოს დაწესება მათთვის, ვინც ზედმიწევნით იცავს და ზრუნავს კომპანიის მიერ რესურსების დაზოგვასა და გადამუშავებაზე.

4 იმპლემენტაცია და მართვის სისტემები

4.1 <u>გარემოსდაცვითი მართვის სისტემა:</u>

- ჩავატარებთ შიდა აუდიტს ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის ეფექტურობის შესაფასებლად;
- რეგულარულად ჩავატარებთ შიდა და გარე აუდიტს ჩვენი გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევის პროგრესის მონიტორინგისთვის.

4.2 <u>პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება:</u>

- წინამდებარე დოკუმენტში ჩამოთვლილ ვალდებულებებს გავაცნობთ ჩვენს ინვესტორებს, თანამშრომლებს, მომხმარებლებს, მიმწოდებლებსა და პარტნიორებს, ასევე ფართო საზოგადოებას ჩვენი ვებგვერდისა და სხვა მედიასაშუალებების მეშვეობით

4.3 <u>რისკების მართვა:</u>

- რეგულარულად ჩავატარებთ გარემოსდაცვითი რისკების შეფასებას და შევიმუშავებთ შესაბამის მიტიგაციის სტრატეგიებს;
- მოვახდენთ გარემოსდაცვითი რისკების ინტეგრაციას ჩვენს საერთო კორპორატიული რისკების მართვის სისტემაში.

5 მონიტორინგი, ანგარიშგება და გამჭვირვალობა

- ყოველწლიურად გამოვაქვეყნებთ გარემოსდაცვით აქტივობებთან დაკავშირებულ განხორციელებულ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

6 პარტნიორობა და თანამშრომლობა

- აქტიურად ვითანამშრომლებთ ინდუსტრიულ ასოციაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამთავრობო უწყებებთან გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად;
- მხარს დავუჭერთ და მონაწილეობას მივიღებთ გარემოსდაცვით კვლევებში და განვითარების პროექტებში.

7 ინოვაცია და ტექნოლოგია

- განვხორციელებთ ინვესტიციებს "მწვანე" ტექნოლოგიების კვლევასა და განვითარებაში;
- ვითანამშრომლებთ სტარტაპებთან და ტექნოლოგიურ კომპანიებთან ინოვაციური გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების შესამუშავებლად.

8 საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

- საზოგადოებას მივაწოდებთ დეტალურ ინფორმაციას ჩვენი გარემოსდაცვითი ინიციატივების თაობაზე;
- ვითანამშრომლებთ ადგილობრივ თემებთან გარემოსდაცვითი პროექტების განსახორციელებლად და მდგრადი განვითარების მიმართ ცნობადობის ასამაღლებლად.

9 დასკვნითი დებულებები

- წინამდებარე პოლიტიკის დამტკიცება და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- წინამდებარე პოლიტიკა ძალაში შედის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.